ცნობა

მიხეილ ჯანელიძე დაიბადა 1981 წლის 29 მარტს;

2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის ბაკალავრის ხარისხი;

2006 წელს დაამთავრა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური აკადემია, საერთაშორისო სამართლის ასპირანტურა;

2011 წელს სწავლობდა კავკასიის ბიზნეს სკოლაში და მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი აღმასრულებელთათვის;

2011 წელს დაამთავრა საფრანგეთის გრენობლის ბიზნეს უმაღლესი სკოლა და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალობით;

2003 წლის ივლისიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარ სპეციალისტად;

2004-2006 წლებში იყო ქ. მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) ინვენსტორებთან ურთიერთობების ოფიცერი სს „პარკსიმში";

2006-2007 წლებში მუშაობდა შპს „საერთაშორისო პროექტების დახმარების სერვისში" ბიზნესის განვითარების მენეჯრად;

2007 წელს ასევე იყო სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას" ვისოლ ჯგუფის პროექტის მენეჯერი;

2007-2009 წლებში იყო შპს „ველლაჯიოს“ ვისოლ ჯგუფის მმართველი დირექტორი;

2009 წლის იანვრიდან 2009 წლის დეკემბრამდე – კს „ჯანელიძე და კომპანიის“ დამფუძნებელი, პარტნიორი;

2009-2011 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

2011 წლის 16 დეკემბრიდან 2015 წლის 21 სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, პარალელურად, 2014 წლის 10 თებერვალს დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის საბჭოს წევრად საჯარო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის ვადით;

2015 წლის 21 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ, 2015 წლის 30 დეკემბერს – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად;

2017 წლის 12 ივლისს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება;

2011 წლის 18 ოქტომბერს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით;

ფლობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.